

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“  
სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს საარჩევნო კომისიის

სხდომის ოქმი N1

ქ.თბილისი

2014 წლის 27 ნოემბერი

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ჯემალ მაგანიას 2014 წლის 26 ნოემბრის ბრძანების N01-29 საფუძველზე სხდომას ესწრება სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს საარჩევნო კომისიის შემდეგი 5 წევრი: 1.ხათუნა მიქაუტაძე, 2. ნინო ქარუმიძე, 3.ნატალია კომახიძე, 4. ირაკლი ჩაგანავა, 5. მერაბი მაისურაძე.

დღის წესრიგი:

1. სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს არჩევნების უზრუნველსაყოფად, საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირების არჩევა.
2. სხვადასხვა.

პირველ სხდომას, კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევამდე უხელმძღვანელა ხათუნა მიქაუტაძემ, როგორც თავმჯდომარემ და ნინო ქარუმიძემ, როგორც საარჩევნო კომისიის მდივანმა.

მოისმინეს

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ იურისტმა ხათუნა მიქაუტაძემ განმარტა სტუდენტთა თვითმმართველობის საარჩევნო დებულება და მოუწოდა კომისიის წევრებს დაესახელებინათ კომისიის წევრთა შემადგენლობიდან საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის კანდიდატურა, რომელსაც აირჩევდნენ საარჩევნო კომისიის წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.

განიხილეს წამოყენებული კანდიდატურები და კენჭი უყარეს:

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად - კომისიის 3-მა წევრმა, კერძოდ: ნინო ქარუმიძემ, ირაკლი ჩაგანავამ და მერაბი მაისურაძემ წამოაყენა ხათუნა მიქაუტაძის კანდიდატურა.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატი, ხათუნა მიქაუტაძე ღია და პირდაპირი კენჭისყრის შედეგად ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით (არც ერთი წინაარმდეგი) არჩეულ იქნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

2.კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატის - დასაკავებლად კომისიის 2-მა წევრმა კერძოდ: ირაკლი ჩაგანავამ და მერაბ მაისურაძემ განსახილვევად წარმოადგინა ნატალია კომახიძის კანდიდატურა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობის კანდიდატი ნატალია კომახიძე ღია და პირდაპირი კენჭისყრის შედეგად, ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით (არც ერთი წინააღმდეგი) არჩეულ იქნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

3. კომისიის მდივნობის კანდიდატის დასაკავებლად კომისიის 2-მა წევრმა კერძოდ; ირაკლი ჩაგანავამ და მერაბ მაისურაძემ განსახილვევად წარმოადგინა ნინო ქარუმიძის კანდიდატურა.

საარჩევნო კომისიის მდივნის კანდიდატი ნინო ქარუმიძე ღია და პირდაპირი კენჭისყრის შედეგად ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით (არც ერთი წინააღმდეგი) არჩეულ იქნა საარჩევნო კომისიის მდივნად.

დაადგინეს

2014 წლის 27 დეკემბერს სსიპ „ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი ორგანოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიზნით არჩეულ იქნა

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე- ხათუნა მიქაუტაძე

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე- ნატალია კომახიძე

საარჩევნო კომისიის მდივანი-ნინო ქარუმიძე

სხდომის ოქმი აწარმოა კომისიის მდივანმა-ნინო ქარუმიძემ

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი

ორგანოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე  ხათუნა მიქაუტაძე

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგელობითი

ორგანოს საარჩევნო კომისიის მდივანი  ნინო ქარუმიძე

კომისიის წევრები:

ნატალია კომახიძე

ირაკლი ჩაგანავა

მერაბი მაისურაძე

